ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2856153

ნომერი: AR1437922

თარიღი : 06.09.2016

გაცემის თარიღი : 27.09.2016

გაცნობის თარიღი : 27.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , N 30 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლაშა ფრუიძე პ/ნ 01036003288
- თბილისი შ.მიქატაძის შეს. N 3

ორგანიზაცია:
- შპს „სითი რეალ ისთეითთ“ კოდი: 406067410

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11.06.2016წ. №2642280 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს06/09/2016წ. AR1437922 განაცხადით მომართალაშა ფრუიძემ და მოითხოვა ტექნიკური ხარვეზის გასწორებაამავე სამსახურის 11.06.2016წ. №2642280 ბრძანებაში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის96–ე მუხლისთანახმად, შეისწავლასაქმისათვის არსებითიმნიშვნელობის მქონეგარემოებები დადაადგინა, რომსამსახურის 11.06.2016წ. №2642280ბრძანებით, შეთანხმდა: ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. №30, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.14.030.020), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის II ბლოკის (სასტუმრო, საცხოვრებელი, კომერციული და სხვა) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 11.06.2016წ. №2642280 ბრძანებაში ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, წარმოდგენილ გეგმებსა დაგანსაზღვრულ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის არისშეუსაბამობა რაც გამოწვეულია მექანიკური ხარვეზით,კერძოდ: საცხოვრებელი ფართობი 10050,77 კვ.მ ნაცვლად უნდა იყოს 3463,68 კვ.მ, საზაფხულო ფართობის 2993,5 კვ.მ ნაცვლად უნდა იყოს 2909,14 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობის 1948.12 კვ.მ ნაცვლად უნდა იყოს 1967,46 კვ.მ, სასტუმროს ნომრების ფართობის 8372,9 კვ.მ ნაცვლად უნდა იყოს 6587,3 კვ.მ, საერთო ფართობის 27576,6 კვ.მ ნაცვლად უნდა იყოს 19138,89 კვ.მ.

სამასხურმა განმცხადებლის მიერწარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნაწარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორიდაჯამების გამო, რაც შემდგომაისახა სამსახურის მიერ გამოცემულბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკურიხარვეზის გასწორების უფლება აქვსმის გამომცემადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება სამსახურის 11.06.2016წ. №2642280 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ლაშა ფრუიძის 06/09/2016წ. AR1437922 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11.06.2016წ. №2642280 ბრძანებაში, კერძოდ: საცხოვრებელი ფართობი დაფიქსირდეს 3463,68, საზაფხულო ფართობი დაფიქსირდეს 2909,14 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი დაფიქსირდეს 1967,46 კვ.მ, სასტუმროს ნომრების ფართობი დაფიქსირდეს 6587,3 კვ.მ, საერთო ფართობი დაფიქსირდეს 19138,89 კვ.მ;
3. წინამდებარე ბრძანებაგანხილულ იქნასქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11.06.2016წ. №2642280 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლებაგასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა№7) კანონმდებლობით დადგენილიწესით, მისიოფიციალური წესითგაცნობიდან ერთითვის ვადაში.